ოთხშაბათი, ივნისის 11 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 106.

ჩვენი ქვეყანა

წელიწადი მესამე

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ შემოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

ნადეჟდა დავით წულუკიძის ასული ნიჟარაძისა, ივერიკო, ვარლამ, ლევან და პეტრე ირაკლის ძენი ნიჟარაძეები და დავით ოტიას ძე ნიჟარაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის პირველის მეუღლის, მეორეთა მამის და მესამისა ძმის

ირაკლი ოტიას ძის ნიჟარაძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება სამშაბათს 10 ივანობისთვეს (ახალი სტილით) დილის ათ საათზე ქ. ქუთაისის წყალგაღმა მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, ხოლო გარდაცვალებულის პირველის შვილისა, მეორეთა ძმისა და მესამის ძმისწულის,

ნიკოლოზ ირაკლის ძის ნიჟარაძისა

ხუთშაბათს 12 ივანობისთვეს სოფ. ოფშკვითის წმინდა გიორგის ეკლესიაში.

სამშაბათს, 17 ივნისს ქუთაისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე და დამფუძნებელი კრების წევრი

სპირიდონ კედია

წაიკითხავს მოხსენებას მომენტის შესახებ.

ქუთაისის ქალაქის საავათმყოფოში მყოფ ავადმყოფთა ჭირისუფლების საყურადღებოთ

ამით ვაცხადებთ, რომ ამა წლის ათი ივნისის შემდეგ, როგორც ქალაქის ყველა დარგებში ისე საავათმყოფოშიაც მოსალოდნელია მოხდეს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო

გაფიცვა.

ქალაქის თვითმართველობის მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცვის კომიტეტი.
1—1 ქალაქის თვით. მოსამსახ. პროფ. კავშირის გამგეობა.

მოვაწყვეთ იაფ ფასიანი და კარგათ მოწყობილი

სასადილო ბორდო

სასადილო მუშაობს 10 ივნისიდან და მოთავსებულია ქარვასლის ქუჩაზე სასტუმრო „ორიანტის“ ქვედა სართულში. 1—1

ექიმი ბიკტორ ნიკიფორეს ძე ხუსკივაძე ღებულობს ავათმყოფებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი. 24—21

ექიმი კბილის ექიმი ნ. ა. მხეიძე ღებულობს ავადმყოფებს დილით 9—3 საათამდე. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის სახლი. 24—17

ექიმი მედიცინისა საზღვარგარეთელი უნივერსიტეტ. ფ. ი. კაკიტელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ქალთა, საშარდის (ტრიბერი, სიფილისი. ექიმობა 606 და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა. საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

რა გზას დავადგეთ.

საქართველოს თავისუფლებას და მის დამოუკიდებლობას ბევრი მტერი ყავს და ბევრი მოწინააღმდეგე, მაგრამ მათ შორის უფრო აშკარა და უხეში არის რუსეთი. უსამართლობაზე აგებული რუსეთის სახელმწიფო, ძალმომრეობით გაძლიერებული და უშინაარსო სიამაყით დაბრმავებული ისე უეცრათ დაეცა და ისე სასტიკათ დამარცხდა, რომ მისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. „საქართველო რუსეთის გვირგვინში მარგალიტი არისო“ სთქვა, რუსეთის მეფემ და ეს სიტყვები რუსეთის ბიუროკრატიას და ცრუ პატრიოტებს ისე ესმოდათ, რომ საქართველო ძვირფასი სიმდიდრით და უნდა შევირჩინოთ და ჩვენდა სასარგებლოთ ვიხმაროთო. საქართველოს ჩამოშორებას და სხვის ხელში გადასვლას რუსეთი სასიკვდილეო გაიგონებდა, რადგან ყველა თავისი ერთგულია და საუკეთესო თავისთვის უნდა. თუ რუსეთს სული შერჩებოდა საქართველოს სხვა სახელმწიფოს არ დაუთმობდა, მით უმეტეს საქართველოს სრულიად განთავისუფლება და დამოუკიდებლობა რუსეთისთვის მოუნელებელი ტანჯვა იქნებოდა. გარდა ნივთიერი სარგებლობისა და პოლიტიკური თავმოყვარეობისა რუსეთი შურის ძიებით აღვსილია საქართველოსადმი. შურის ძიება დამახასიათებელი თვისებაა ყოველი უკულტურო ადამიანისა და რუსეთის იმპერიალისტები რომ ასეთნი არიან ეს დღეს საქვეყნო ჭეშმარიტებაა. მოსალოდნელი იყო და არის რომ რუსეთი დაუძინებელი მტერი არის და იქნება ჩვენი დამოუკიდებლობის. შურის ძიებით აღვსილი რუსეთი ყოველ მოხერხებულ წუთში ეცდება შემთხვევით ისარგებლოს. აი ასეთი წუთი იგრძნო დენიკინმა და სიჩქარით გამოიყენა. საქართველო ამან ძაან ჩააფიქრა და საზოგადოება შიშში ჩააგდო.

მართლაც დენიკინი მეტათ სახიფათო მტერია. ეს ნიკოლოზ მეორის რეჟიმის კი არ არის, ნიკოლოზ პირველის ტიპზედაც უარესია. დენიკინი და მისი მიმდევარნი ბნელი რუსეთის სულია და ამიტომ ჩვენთვის აღამამადხანსა და თემურლენგზე უარესია. ვისაც დენიკინისა და კოლჩაკის აქეთ წამოსვლა ამ ბოლო დროის რუსეთთან მიბრუნება ჰგონია ის უგნური ქართველია. დენიკინი და კოლჩაკი თვით რუსეთის დამაქცეველნი არიან და სამშობლოს დათვურ სამსახურს უწევენ. თუ ვინმე იმას ფიქრობს, რომ დენიკინი და კოლჩაკი რევოლუციის წინ ყოფილი რუსეთის აღდგენას ფიქრობენო, ძლიერ სცდება, რადგან ეს ორი ბნელი მეთაური და მათი ამყოლი გრიგორიევი და სხვანი არის ბარბაროსული რუსეთის გამოძახილი და მათი ჩვენს ქვეყანაში ფეხის დადგმა ჯოჯოხეთის სურათს გააჩენს.

დიახ, საფრთხე დიდია, ამიტომაც სიფრთხილე და თავდარიგი აუცილებელია. ეს შეურყეველი პოლიტიკური მცნებაა, მაგრამ გაზვიადებაც არ ვარგა და იმის თქმა, რომ უსათუოდ მოვაო, ზედმეტი შიშია და აირატომ.

რუსეთი იმდენათ დაშლილი და დანგრეულია, რომ იქ ერთსულოვნება შეუძლებელია, დენიკინისა და კოლჩაკისთვის ნიადაგი ჯერ მზათ არ არის. მართალია ერთ მხარეზე ისინი იმარჯვებენ, მაგრამ მეორე მხარეზე მოწინააღმდეგე მაგრდება. დღეს თუ ის სჯობნის, ხვალ იმას სჯობნიან. რუსეთის სულიერ განწყობილებაში და მის პოლიტიკურ სულის კვეთებაში დღეს ერთი ხაზი შეუძლებელია. ბოლშევიკებისაგან იარაღის დაყრას კიდევ დიდი ბრძოლა უნდა; დონის ოლქის კაზაკების კავშირს დენიკინი ადვილათ ვერ სძლევს. დრო გამოშვებით მოწინააღმდეგე ბანაკი დენიკინს მოსვენებას არ მისცემს. ასეთ პირობებში მობილიზაცია და მყდმივი ჯარის შექმნა, ფინანსებისა და სურსათის საკითხის გადაჭრა შეუძლებელია. ასეთ პირობებში მთლიანობის აღდგენა რუსეთის, თუნდა შინაური რუსეთის ტერიტორიაზე წარმოუდგენელია.

აი ეს გარემოება ხელს გვიწყობს ჩვენ **სამხედრო პოზიცია დავიკავოთ და საომრად ვემზადოთ.** ეგვე ითქმის აზერბეიჯანზე, რომელსაც ესხმის რუსეთის ბარბაროსობა და ხელიდან იარაღს არ დაადგდებს, სანამ თავს არ დაიცავს. სამწუხარო გამონაკლისს შეადგენენ სომხები, მაგრამ რა გაეწყობა ეს ხორცმეტი ამიერკავკასიის პოლიტიკურ ორიზონტზე ჯერ-ჯერობით დარჩება და ამით ჩვენი რესპუბლიკის სხეული არ დასნეულდება.

როგორ უყურებს ევროპა ჩვენსა და რუსეთს შუა შექმნილ მდგომარეობას?

პოლიტიკა მუდამ საიდუმლოებით იყო მოცული და დღესაც ისეა. სინართლეს და სიცხადეს პოლიტიკაში არასოდეს ადგილი არ ჰქონია და არც ახლა აქვს. სიტყვით ყველა განათლებულია და ყველა იდეას ემხრობა, მაგრამ საქმით ჯერ ყველა დიდი ეგოისტია და თავის თავზე ერთგულათ ზრუნავს და სხვაზე კი სხვათა შორის. ეს საერთო მოვლენაა და ინგლისისთვის კი ეს პირველი მცნებაა პოლიტიკურ მრწამში.

ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთის ბოლშევიზმის მთელ ევროპას ეშინია და ყველას უნდა რომ რუსეთში ბოლშევიზმი ჩაქრეს. პირად შეტაკებას ყველა ერიდება, მაგრამ თუ ეს თვით რუსეთისავე ხარჯზე შესრულდება — საუკეთესო ეს იქნება და ამიტომაც არც ერთი სახელმწიფო საკუთარი ძალ-ღონით და საშუალებით რუსეთის ტერიტორიაზე არ იბრძვის; სამა-

პარტიის მესამე კონფერენცია

გაიხსნება 21 თიბათვეს, დაიხურება 23 ს.

სხდომები სწარმოებს დილა-საღამოობით. დილით — 10 დან 2 საათამდე, საღამოთი 5-დან 9 საათამდე.

მუშაობის პროგრამა

პირველი დღე (21 თიბათვე)

დილის სხდომა. სხდომას გახსნის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, მდივნობს მთავარი კომიტეტის მდივანი.

კონფერენცია ირჩევს თავის პრეზიდიუმს: თავმჯდომარეს და მის ამხანაგებს, მდივანს და მის ამხანაგებს.

კრება ირჩევს სამანდატო კომისიას, რომელსაც ევალება საღამოს სხდომის დაწყებამდე მანდატების შემოწმება.

კრება ირჩევს სარეგლამენტო კომისიას, რომელსაც ევალება მთავარი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საკონფერენციო რეგლამენტის განხილვა და თავის შენიშვნებით მისი წარმოდგენა საღამოს სხდომისათვის. კომისიების არჩევით დილის სხდომა დაიხურება. შემდეგი ინიშნება საღამოს.

საღამოს სხდომა სხდომას ხსნის კონფერენციის თავმჯდომარე ან მისი ერთ-ერთი ამხანაგი. მდივნობენ არჩეული მდივნები. კონფერენციას მოხსენდება:

1. მთავარი კომიტეტის განვლილი წლის მოქმედების ანგარიში. მომხსენებელია იოს. მაჭავარიანი.

2. პარტიული მუშაობა ადგილობრივ. მომხსენებლებია ჩამოსული დელეგატები.

3. პარტიული მდგომარეობა. მომხსენებელია რ. ინგილო. თავდება პირველი დღის მუშაობა.

მეორე დღე (22 თიბათვე)

დილის სხდომა. კონფერენციას მოხსენდება:

1. საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის ანგარიში. მომხსენებელია გ. გვახარია.

2. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: მომხსენებელია გ. გვიხავა.

3. ჩვენი საფინანსო და სამრეწველო პოლიტიკა — მომხსენებელია ნ. ნიკოლაძე და იასონ ლორთქიფანიძე. თავდება დილის სხდომა.

საღამოს სხდომა. 1. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: გ) აგრარული პოლიტიკა. მომხსენებელია ა. ასათიანი. დ) მუშათა საკითხი მომხსენებელია ა. ასათიანი.

2. საქართველოს ტერიტორია. მომხსენებელია ექ. თაყაიშვილი. თავდება მეორე დღის მუშაობა.

მესამე დღე (23 თიბათვე)

დილის სხდომა. 1. საქართველოს პოლიტიკური სახე. ჩვენი დოკტრინა და სინამდვილე. მომხსენებელია სპ. კედია.

2. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. მომხსენებელია პ. სურგულაძე.

3. თვითმართველობები. მომხსენებელია პ. გოთუა. თავდება დილის სხდომა.

საღამოს სხდომა. 1. საქართველოს მხედრობა. მ. პეტრე სურგულაძე.

2. წესდება და საორგანიზაციო მუშაობა. მომხსენებელია ა. ასათიანი.

3. კომიტეტის არჩევა. ყოველი მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. მიიღება რეზოლიუცია.

დელეგატები აირჩევიან ხუთასი წევრის კვალობაზედ.

ორგანიზაცია, რომელსაც ხუთასზე ნაკლები წევრი ჰყავს, გზავნის ერთ დელეგატს.

დელეგატს უნდა ჰქონდეს სათანადოთ შედგენილი მანდატი,

დელეგატის მთელ ხარჯს კისრულობს გამომგზავნი ორგანიზაცია.

მთავარი კომიტეტი.

გიეროთ ხელს უწყობს ყველას, ვინც ბოლშევიზმს შეებრძოლება. აი აქ იწყება და აქვე თავდება დენიკინ-კოლჩაკისა და ინგლის-საფრანგეთის შეგობრობა და სოლიდარობა. როცა დენიკინი ბოლშევიკებს ებრძვის, ინგლისი მას ხელს უწყობს და თუ დენიკინმა საქართველოს დაპყრობა განიზრახა ეს ინგლისს არ მოეწონება, მაგრამ წინდაწინ ამას დენიკინს არ ეუბნება, რადგან მისი დაიმედება და თავის მიმართულებაზე წაქეზებაც საჭიროა და იმიტომ, როცა სოჩიდან მოდიოდა დენიკინი — ინგლისმა შეაჩერა, მაგრამ ის არ უთხრა არც შემდეგში წახვიდე საქართველოსაკენო, არ უთხრა მიტომ, რომ არც ის მოიმდურა და არც ჩვენ დაგვაიმედა, რადგან ჩვენი სახის გამორკვევაც უნდოდა. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სომხებისა და რუსებისაგან იმდენი პროვოკაცია არის ჩვენ საწინააღმდეგოთ გაწეული, რომ ინგლისი და საფრანგეთი კი არა უფრო ახლობელიც დაეჭვდება ჩვენში მით უმეტეს, რომ დღევანდელ ჩვენ რესპუბლიკას ნიშან-წყლის სოციალისტური მთავრობა უდგია სათავეში. ყველა გარემოებას უყურებს და ისე მოქმედებს; ლოიდ-ჯორჯი და კლემანსო რომ ჩვენზე ზრუნავდეს, ეს დასაჯერებელი არ არის, მაგრამ ჩვენი თავი რომ დენიკინს ხელში ჩაუგდონ ესეც მათთვის ანგარიში არ არის, მეორე მხრით ისინი, რომ ჩვენ დასაცავათ აშკარათ გამოვიდენ და ჩვენზე თავი იტეხონ — ესეც მათთვის რა სასარგებლო იქნება, რადგან ჩვენ ეს ვერ დავიმსახურეთ და სხვას ამით კი მოიმდურებენ; მაშასადამე ერთ გადაჭრილ წერტილზე არ სდგას ინგლისი ჩვენ შესახებ; უყურებს გარემოებას და ხან ასე იტყვის ხან ისე, მხოლოდ ბოლოკი ისეთი უნდა ექნეს, რომ **ინგლისმა ისარგებლოს**. ჩვენი და დენიკინის შეტაკები არ უნდა იმიტომ, რომ დენიკინის დასუსტება მისთვის სასურველი არ არის, რადგან ეს ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ძალათ აქვს მიჩნეული. ასეთი რყევის ნიადაგზე სდგას ევროპა და იმაზე დიდ იმედს ვერ დავამყარებთ.

საჭიროა ძალა მოვიკრიბოთ, საბრძოლველათ მზათ ვიყოთ და ამავე დროს ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლათ დიპლომატიური ცდა არ მოვშალოთ.

ტრიფონ ჯაფარიძე.

ქალაქის საბჭოში.

(შთაბეჭდილება)

9 თიბათვის ქალაქის საბჭოს სხდომა და ს.-ფედერალისტთა ფრაქციის გამოსვლები დამახასიათებელია იმ პარტიისა, რომელზედაც ლაპარაკი გვაქვს.

ჩვენ არ გვინახავს ჯერ ისეთი ფრაქცია, რომლის წევრთა გამოსვლებს კურიოზულ მდგომარეობაში ჩაეყენებიოს მთელი ფრაქცია, როგორც ეს მოსდის ს.-ფედერალისტთა ფრაქციას ქუთ. ქალაქის საბჭოში.

ჩვენ გვესმის ოპოზიცია დინჯი და საქმიანი, მაგრამ ყველაფერზე განზე გადგომა, უსაფუძვლო აღმაშფოთებელი და უცენზურო სიტყვების წამოძახილი და იმის წადილი რომ ყველაფერს შენი სახე მისცე თუ გინდ საქმისათვის ეს საზიანოც იყვეს, არ შეეფერება ისეთ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელსაც ვრთხელ არჩილ ჯორჯაძე ხელმძღვანელობდა.

თავისი გრძელი სიტყვებით ბ-ნი იმნაძე ფედერალისტთა ფრაქციის სახელით დიდ დროს ართმევს საბჭოს და ძალა-უნებურათ აჩერებს ისეთ საკითხებზე, რომელიც უკვე გადაწყვეტილია.

პრესას ქუთაისში რომ სტენოგრაფისტი ჰყავდეს და ყველაფერი, რაც ფედერალისტთა ფრაქციას წამოცდება ქალაქის საბჭოში დაწვრილებით აღნიშნოს, ეს კრების ანგარიში კი აღარ გამოვა, არამედ მხიარული ფარსი, რომლითაც მდიდარია რუსული იაფ ფასიანი თეატრები და რომელმაც ამ ბოლო ხანებში ჩვენს თეატრზედაც მოიპოვა ადგილი.

ბ. გავაშელი თავმჯდომარე ფრაქციისა ესარჩლება ქალაქის მუშებს, რომელთა შორის ერთი მომხრეც არა ჰყავს და საბჭოს წიხადადებას აძლევს ჯამაგირად ამდენი და ამდენი დაუნიშნოთო.

ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი იმისა, რომ მუშებს ჯამაგირები მოუმატონ. გავაშელის მიერ წარმოდგენილი ნორმა ჯამაგირისა კიდევ ვერ დააკმაყოფილებს მუშებს, როგორც ეს ჩვენი ფრაქციის თავმჯდომარემ ბ. ტრ. ჯაფარიძემ განაცხადა, მაგრამ საქმე ის არის, — როცა ჯამაგირების მომატების და დანიშვნის შესახებ კამათი არის, ეამონახული იქნეს წყარო, საიდანაც დაკმაყოფილდებიან ის მუშები თუ მოსამსახურეები, რომელთაც ჯამაგირს უნიშნავენ ან უმატებენ.

გავაშელმა წყაროც გამონახა:

მოითხოვა ბურჟუაზიის და გლეხების სასტიკათ დაბეგვრა.

ბურჟუაზიის სახით მან წარმოგვიდგინა სახლების პატრონები და აღნიშნა, რომ მათ გადასახადი ახალი წესით უნდა გადახდეთ ე. ი. გაასკეცდეს. ვინ არ იცის, რომ ამ რევოლიუციის ტეხილში სახლის მეპატრონეებს უმნიშვნელო შემოსავალი აქვთ სახლებიდან და ბევრს არაფერიც არ შემოსდით. ამას მოწმობს ის პოლიტიკური კლუბებიც რასაც უჭირავს ყაზარმების ოდენა დარბაზები და მათი დამქირავებელი-პოლიტიკური ჯგუფები „ახალი წესით“ მეპატრონეებს არაფერს აძლევენ.

და ქუთაისში სანოვაგის გასაყიდლათ ჩამოსული უკმაყოფილო გლეხების სასტიკათ დაბეგვრა არ გამოიწვევს კარგ შედეგებს. ჩვენ უკვე გვესმის გლეხების მითქმა-მოთქმა ამის შესახებ და დენიკინის მოლოდინში მათი აღფრთოვანება. ეს საშინელი სურათი კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს თუ ჩვენს ქალაქს და ქვეყანას გავაშელისებური დოსტაქრები ბლომად ეყოლა.

ხმოსანი ტროფიმე ხუნდაძე შემოსავლის წყაროთ ვაჭრების დახლებს ასახელებს. ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ ადამიანებს ანგარიში გავუწიოთ და მათზე რამე ვსთქვათ, მაგრამ გვაკვირვებს ფედერალისტ ბოლშევიკის გ. ქორქაშვილის განცხადება:“

„წყაროს გამოძებნა ტყვილია. ეს გათავებული საქმეა. აკილოთ სესხი. ბიუჯეტის შედგენა შეუძლებელია...

ქორქაშვილის წინა ორატორმა ფედერალისტთა ფრაქციიდან ბიუჯეტის შედგენაც და საშუალების გამონახვაც მოითხოვა. ჩვენ ვერ გავიგეთ რომელი ელაპარაკებოდა საბჭოს ფედერალისტთა ფრაქციის სახელით.

9 თიბათვეს ფედერალისტთა ფრაქცია კურიოზულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ვერც თვით ქალაქის საბჭო იყო კაი მდგომარეობაში.

მოსამსახურეების ჯამაგირების მომატების საკითხი, რომელმაც ამდენი აურზაური გამოიწვია და ზოგიერთ ფრაქციებს უხერხულობა აგრძნობინა, — ქალაქს წლიურად სთხოვს 7.000.000 მანეთს.

ისეთ ქალაქს რომელსაც ჯერ ბიუჯეტიც არ შეუდგენია და ვარაუდათ 3 მილიონი შემოსავალის მეტი არ ექნება ცხადია ვერ შესძლებს 7 მილიონის მარტო ჯამაგირებში გაცემას.

ქალაქის საბჭოს ერთსულოვნება და საღი სამეურნეო პოლიტიკის წარმოება მართებს.

ნელი.

საერთაშორისო სოციალისტური კომისიის რეზოლიუცია.

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს ხალხის იყო დადასტურებული ერთხმად თფილისში 12 მარტს 1919 წ. დამფუძნებელ კრების მიერ, რომელიც არჩეულია ყველა 20 წლოვანი მოქალაქის მიერ განურჩევლათ სქესისა, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქართველმა ხალხმა შექმნა და იცავდა ისეთ კრიტიკულ პირობებში რესპუბლიკანურ დემოკრატიულ კონსტიტუციას და მართავდა რესპუბლიკას ნორმალურათ საკუთარის ძალით ერთის წლის განმავლობაში, დაუმტკიცა მთელს ქვეყნიერებას თავისი უდავო პოლიტიკური ნიჭი, მუდმივი ინტერნაციონალური კომისია სცნობს ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი სამართლიანად, რომელიც ეთანხმება ხალხთა უფლებას განაგოს თავისი ბედი თითონ, რაც დიდიხანია აღიარა ინტერნაციონალმა დღეს შეტანილია პრეზიდენტ ვილსონის პროგრამაში ზავის ერთ მთავარ პირობათ.

კომისია დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საზავო კონფერენციამ პარიზში და ყველა სახელმწიფოებმა ფორმალურად იცნონ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, რომელიც უარყოფს ოპეკას ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოსას და ყოველ უცხოეთის კანტროლს მის დემოკრატიულ დაწესებულებებზე“.

ბ-ნ ბაბეს დაბრუნება.

პარასკევს, დღის 12 საათზე, პარიზიდან თბილისში დაბრუნდა ბ-ნი ვიქტორ ბაბე, რომელიც საქართველოს დელეგაციაში იღებს მონაწილეობას. ბ-ნი ბაბე რამდენიმე დღეში კვლავ პარიზს გაემგზავრება. ბ-ნი ბაბე გადმოგვცემს რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს კეთილის თვალით უყურებენ როგორც საფრანგეთის, აგრედვე მოკავშირე ქვეყნების უმაღლესი პოლიტიკური წრეებიც.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

◆ საჯალხო მასწავლებელთა კრება. 15 ივნისს, დილის 11 საათზე, ივანოვის ქიჩაზე ქალაქის დაწყებით პირველ სასწავლებელში დანიშნულია ქ. ქუთაისის დაბალი სკოლების მასწავლებელთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განხილული იქნება სხვა და სხვა მიმდინარე საკითხები. გამგეობა სთხოვს წევრებს, დაესწრონ თავის დროზე.

◆ სპირიდონ კედიას ლექცია. სამშაბათს 17 ივნისს, ქალაქის თეატრში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის თანჯდომარე და წევრი დამფუძნებელი კრებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი სპირიდონ კედია წაიკითხავს ლექციას თანამედრე მომენტის შესახებ.

✦ **დახმარება ქალაქის თავს.** ქალაქის საბჭომ ქალაქის მოურავის დ. კალანდარაშვილის ავადმყოფობის გამო მას დახმარების სახით მისცა 10 ათასი მანეთი.

✦ **მილიციის უფროსის არჩევა.** ქუთაისის მილიციის უფროსად ქალაქის საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე 9 ივნისს აირჩია ფოთის მილიციის უფროსი მალრაძე.

✦ **შაბიაბანი.** ქუთაისის მომხმარებელთა საზოგადოება „კოოპერაციამ" შეიძინა შაბიაბანი. გირვანქა საუკეთესო ხასიათის შაბიაბანი კოოპერაციაში იყიდება 13 მანეთად.

✦ **ნიხრის გადასინჯვა.** ქალაქის საბჭომ 9 ივნისს გირვანქა ძროხის ხორცზე 8 მანეთი ნიხრი დააწესა.

✦ **ქუთაისისათვის სიმინდის შეძენა.** ქალაქის საბჭომ 9 ივნისს საგანგებო დანიშნულებით ქალაქის გამგეობას დაავალა ეძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ნება დართოს გამგეობას ქალაქის საჭიროებისათვის სიმინდი შეიძინოს ქუთაისის რაიონის გარეშედაც.

✦ **ქუთაისის მილიციის უფროსის მოადგილის ჰეიშვილის განცხადება.** ქუთაისის მილიციის უფროსის მოადგილემ შტ. კაპ. ჰეიშვილმა შემდეგი განცხადება გამოუშვა სამხედრო პირების საყურადღებოთ: მოვითხოვ დაუყონებლივ იქნეს მოყვანილი სისრულეში შინაარსი გარნიზონის უფროსის ბრძანებისა № 27 93. 6, დღიდან (7 ივნისიდან 1919 წ.) ამ განცხადების გამოქვეყნებისა ამი დღის განმავლობაში რომელიც გამოიხატება შემდეგში: 1. ევალებათ ნამდვილ სამსახურში მყოფ ოფიცრებს იქონონ სათანადო პირადობის მოწმობა სუფთათით, 2. არა სამსახურში მყოფ ოფიცრებს ეძლევა წინადადება არ ატარონ სამხედრო ნიშანი და არც იარაღი უნდა ატარონ, 3. ჯარისკაცებს კანონის ძალით არ აქვთ უფლება ატარონ იარაღი გარეშე სამსახურისა. დამრღვევი ამისა იქნება დაპატიჭრებული ადმინისტრატიული წესით.

✦ **სეირნობის გადადება.** სეირნობა, რომელიც უნდა გამართულიყო 8 ივნისს ქალაქის ბაღში, ქართველთა შორის წ.-ს. გამ. საზ. განყ. სასარგებლოთ, ცუდი ამინდის გამო გადაიდვა.

✦ **იბეჭდება** და ამ დღეებში გამოვა პროფესორ შარლ ჟიდის პოლიტიკური ეკონომია, დასასრული მესამე და მეოთხე წიგნი. თარგმანი იასონ გაბილაიასი.

✦ **ბოროტ-მოქმედება.** 5 ივნისს ს. ფარცხანაყანევში ადგილობრ საჩხეიძევოში ბოროტგამზრახველებმა გაცარცვეს რამდენიმე მცხოვრებნი. შეპყრობილ იქნა სამი ბოროტთაგანი. შეპყრობილ იქნა აგრეთვე ამ სოფლის ოცის თავი დომენტი დიდიძე, რომელსაც ბრალდება აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობა.

✦ **უცაბედი თავის მძვლელობა** 31 მაისს ვანიდან მიმავალ „ფოსტაზე" გამყოლ მილიციონერს იოსებ ნეფარიძეს სოფ. ჭყვიში უცაბედათ გაუვარდა თოფი რომელიც მოხვდა თითონვე და გარდაიცვალა.

✦ **წარმოდგენა.** ხუთშაბათს 12 ივნისს ქალაქის თეატრში ქართველ მსხიობთა მიერ უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის „სულელი". უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ლოლუა, ე. ციმაკურიძე, ჭიაურელი ალ. ყალაბეშვილი და შ. გომელაური.

✦ **ქალ ქის საავადმყოფოს რეორგანიზაცია** ქალაქის გამგეობის წევრმა **ალექსადრე ჯაფარიძემ** და საავადმყოფოს აქიმმა ორიინატორმა **ვლადიმერ ნემსაძემ** შეიმუშავეს პროეკტები ქალაქის საავადმყოფოს რეორგანიზაციისა. ეს პროეკტები სამშაბათს 10 ივნისს წარედგინება განსახილველათ ქალაქის გამგეობის და საბჭოს ჯანმრთელობის კომისიებს.

✦ **ყვავილი სოფლად.** გვაშტიბის საზ. კომისარი ატყობინებს ქუთაისის სამაზრო ერობას, რომ აღნიშნულ საზოგადოებაში ერთობ გავრცელებულია ყვავილი და თხოულობენ დახმარებას აქიმს ფერშლებით.

✦ **ქუთაისის მუშათა კლუბის** ინტერნაციონალის საორგანიზაციო ბიურო აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ გრიგოლ ჩარკვიანის მიერ გამოცხადებული 8 იანვრისათვის წარმოდგენა იმის გამო, რომ დარბაზი ლექციისათვის არის გაცემული, აღარ შესდგება.

პარტიული ცხოვრება

სტუდენტთა კრება. ხუთშაბათს 12 ივნისს, საღამოს 6 საათზე გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციის ბინაზე დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა და „ობიტურიენტთა" (განურჩევლად სქესისა) კრება. გასარჩევია სასწრაფო საკითხები. დასწრება სავალდებულოა.

სტუდენტთა ორგანიზაციის პრეზიდიუმი

ქალაქის საგზო.

9 ივნისის კრება.

თავმჯდომარეობს ბ-ნი ალ. თორაძე.

თავმჯდომარე კრებას საღამოს 9 საათზე გახსნილად აცხადებს. კრებას ესწრება 30 ხმოსანი.

მდივანი კითხულობს წინანდელი კრების ოქმს რაც საბჭომ დაამტკიცა.

დღის წესრიგი: ქალაქის მოსამსახურეების მოთხოვნილება ჯამაგირის მომატების შესახებ, 2. ნიხრის გადაშინჯვა, 3. სიმინდის შეძენის საკითხი, 4. მილიციის უფროსის არჩევა და 5. საკითხი სოხაძის სახლის შეძენის შესახებ.

თავმჯდომარე: სანამ საკითხებს შევეხებოდეთ მოვუსმინოთ ქალ. თავის მოადგილეს ს. რობაქიძეს.

ქალ. თავის ავადმყოფობა.

ს. რობაქიძე აღნიშნავს რომ რამდენიმე ხანია ქალ. მოურავი კალანდარიშვილი ავად იმყოფება. ავადმყოფობა თანდათან სერიოზულ სახეს ღებულობს; ექიმების აზრით ის უნდა გაიგზავნოს აგარაკზე, ამისთვის მას დახმარება უნდა აღმოუჩინოთ. ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს თქვენს წინაშე გადადებულ იქნეს ამისთვის გამგეობის განკარგულებაში 10.000 მანეთი.

ნ. ჩხეიძის იუბილეს გამო.

როგორც მოგეხსენებათ რამდენიმე დღის წინათ დამსახურებულ მსახიობ ქალს ნ. ჩხეიძეს იუბილე გადაუხადეს. გამგეობამ ამისთვის გაიღო 5.000 მან. ფულად, უნდა განთავისუფლდეს მოწაფე ერთ-ერთ სკოლაში და პატივცემული მსახიობის სურათი დაიკიდოს ქალაქის გამგეობის დარბაზში. გამგეობა გთხოვთ გაწეული ხარჯები მიიღოთ და დაადგინა: სურათი ნ. ჩხეიძისა დაკიდებული იქნეს თვითმართველობის დარბაზში.

ქალაქის მოსამსახურეების მოთხოვნილება ჯამაგირების მომატებაზე.

ს. კილაძე: აპრილში მოსამსახურეებმა მოთხოვნილება წარმოადგინა ჯამაგირების მომატების შესახებ. ამის შესახებ საფინანსო პირადი შემადგენლობის კომისიებს და გამგეობას კრებები ჰქონდა. კრებამ სამართლიანად მიიჩნია მოთხოვნილება მაგრამ საქმე მიდგა საშუალებაზე. აგრეთვე წინადადება შემოვიდა რომ ზოგიერთი დარგები უნდა გაფართოებულიყო, რისთვისაც საჭირო იყო ცნობების შეკრება. ეს ცნობები ჯერ ქალაქის მოურავის ავადმყოფობისა და სხვა მიზეზების გამო ვერ შევკრიბეთ. ვადა მოსამსახურეებმა მოგვცეს 10 ივნისამდის. ჩვენ უკანასკნელად კრება გვქონდა 6 ივნისს, მაგრამ ცნობების უქონლობის გამო ვერავითარ დასკვნას ვერ დავადგქით. კომისიამ დაადგინა მხოლოდ რომ მომატებულ ექნესთ ჯამაგირი 1 მაისიდან, მაგრამ სანამ კომისია მუშაობას დაასრულებდეს იმედი აქვს რომ მოსამსახურეები არ გაიფიცებიან. კომისიის დადგენილებით აგრეთვე სანამ საკითხი გადაწყდებოდეს მოსამსახურეებს უნდა მიეცეთ დახმარების სახით 1 მაისიდან 250 მანეთი.

ვ. ქუთათელაძე: (ს. დ.) ეთანხმება კომისიის დადგენილებას მხოლოდ შესწორება შემოაქვს რომ მოსამსახურეებს ჯილდო მიეცესთ არა 1 მაისიდან არამედ 15 აპრილიდან.

მ. გავაშელი: ეხება მოსამსახურეების უმწეო მდგომარეობას და მოითხოვს რომ დაბეგრილ იქნეს ბურჟუაზია. აგრეთვე ეხება ბლეხებს რომელთაც შემოაქვთ საქონოვაგე ბაზარზე და ქალაქი მათ არაფერს ახდევინებს. სასტიკათ მოითხოვს, რომ ბლეხებს საგრძნობელი გადასახადი გადახდეს. ამბობს აგრეთვე რომ ქალაქის საპნის ქარხნის მუშები, რომელნიც ტყვილად იმყოფებიან ჯამაგირი ეძლევა ქალაქის გამგეობიდან. გავაშელის აზრით ან საქმე უნდა მისცენ მათ, რომ თავისი თავი დაიკმაყოფილონ ან და ქარხანას ლიკვიდაცია უყონ.

მოითხოვს გადაიდვას ერთდროულად თვითეული მოსამსახურისათვის 350 მანეთი დღიდან განცხადების შემოტანისა და ჯამაგირათ კი დაენიშნოს თვითეულს არა ნაკლები 800 მანეთისა.

თავმჯდომარე: ჯერ კომისიას არ დაუსრულებია მუშაობა და გთხოვთ მსჯელობა იქონიოთ მხოლოდ საშუალების გამოძებნის შესახებ.

ტრ. ჯაფარიძე: მე მომატების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ საქე არის წყარო. ჯერ გამგეობას ბიუჯეტიც არ შეუდგენია და ვინ იცის იქნებ დეკემბრამდისაც არ იქნეს შედგენილი. მე ვერ წარმომიდგენია ისეთი დაწესებულება რომელიც ყურდნობა მხოლოდ ვალებსა, ქონების გაყიდვასა სხვადასხვა გადასახადებს. მოითხოვს რომ ბიუჯეტის წარმოდგენა დაჩქარდეს.

ს. კილაძე აღნიშნავს სიბნელეს ხარჯთაღრიცხის შედგენისას და ამბობს რომ შეიძლება ივარაუდოთ შემოსავალი, მაგრამ გასავლის გამოანგარიშება დღევანდელ პირობებში ყოველად წარმოუდგენელია. რაც შეეხება მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატებას გავაშელმა აღნიშნა რომ ისინი უნდა დაკმაყოფილებულ იქნენ მინიმალურად მაინც, რაც უდრის თვეში 800 მანეთსო. ეს ყოვლად შეუძლებელია. ეხლანდელ დროში მინიმალურადაც დაკმაყოფილება მოსამსახურეებისა შეუძლებელია. ეხლა მიიღეთ კომისიის დადგენილება რადგანაც სხვა წყარო არ არის.

ტრ. ხუნდაძე (ს. ფ ადგილიდან) წყარო? ვაჭრების დახლები. მიადეგით ვაჭრებს და წყარო იქნება.

გ. ქორქაშვილი: წყაროს გამოძებნა ტყვილია. ეს გათავებული საქმეა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სესხის აღება რაც შეეხება ჩვენი ფრაქციის მიერ წამოყენებულ მისამატებელ თანხას ეს უნდა მივიღოთ რაც ამ სახით უნდა დარჩეს. ბიუჯეტის შედგენა ეხლა შეუძლებელთ. დღეს ისეთი დრო არის რომ შემოსავალი გასავალს ვერ დაფარავს.

ს. კილაძე აცხადებს რომ როცა კომისის მუშაობა ექნება კარგი იქნება მოსამსახურეთა წარმომადგენელიც მონაწილეობას მიიღებდეს. ფედერალისტთა ფრაქციიდან გავაშელმა წყაროს გამოძებნა მოითხოვა ქორქაშვილი კი ყოველ გვარ წყაროს უარყოფს. ჩვენ ვერ გავიგეთ მათი აზრი.

პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელები.

თავმჯდომარე: ალ. თორაძე უცხადებს, რომ ქალაქის მუშათა პროფესიონალური კავშირიდან მოვიდა სამი დელეგატი რომელთაც განცხადება აქვთ გასაკეთებელი ამ საკითხის შესახებ. თუ ნებას მაძლევენ შესაძლებელად დანიშნავს ათ წუთს ყვის ნებას მივცემთ.

კრება 5 წუთით წყდება.

კრების გახსნისას ერთ დელეგატს სიტყვა ეძლევა, რომელიც აღნიშნავს იმ გარემოებას, რამაც ქალაქის მოსამსახურეებს აიძულა მოთხოვნილება წარმოედგინათ. მისი სიტყვის მიხედვით ქალაქის მუშებს უნდა მიეცესთ არა ნაკლები 905 მანეთისა, ურომლისოთ არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია.

ს. კილაძე: ამას ჩვენ მხედველობაში მივიღებთ და საკითხის გარჩევის დროს ამით ვიხელმძღანელებთ.

დასასრულ მოხსენებას აკეთებს ამავე საკითხის შესახებ გამგეობის წევრი ს. რობაქიძე, იგი აღნიშნავს ქალაქის ეხლანდელ მდგომარეობას, და მოკლეთ შემოსავლის წყაროებს.

მისი სიტყვით მოსამსახურეებს მოთხოვნილება რომ დაკმაყოფილებულ იქმნას, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს ქალაქს მარტო ჯამაგირებში დასჭირდება წლიურად 7 მილიონი მანეთი. შემოსავლის ვარაუდი კი 4 მილიონს არ აღემატება.

კრებამ ამის შესახებ მიიღო კომისიის მოხსენება, შესწორებით: ე. ი მუშებს უნდა მიეცესთ 15 აპრილიდან 250 მანეთი ავანსის სახით ჯამაგირში და საკითხი უნდა გაირჩეს არ უგვიანეს ამ თვის დამლევისა.

X.

რუბენ. ე. ელიგულაშვილი.

(ნეკროლოგი)

ჩვენი ვაჟკაცი, გმირი რუბენი!

საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის იდეას-შეეწირა მსხვერპლათ ქართველი ისრაელი.

პირველ ამბოხებისთანავე ახალციხის მაზრაში თავის ნაწილთან ერთად გაეშურა ბრძოლის ველზე ჩვენი რუბენი სიცოცხლით სავსე ახალგაზდა!

ქალაქ ახალციხეში, როგორც გამოცდილი დახელოვნებური როტის ფელდშერი, თავგანწირვით ემსახურებოდა დაჭრილ და დასნეულებულ ჯარისკაცებს.

მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უდროოთ წაგვართვა ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი.

მოულოდნელათ დაობლდა პატარა ოჯახი ქართ. ისრაელების ნასწავლ ახალგაზრდობისა.

ცხარე ცრემლს ვღვრით შენ საფლავთან დაშორებული შენი მეგობრები, ძმაო რუბენ!

ჩვენ წინაშე წარმოსდგება ამ მწუხარების ჟამს კეთილშობილი, პატიოსანი წამშობლოს მოყვარული შენი სახე.

რა დროს შენი სიკვდილი იყო, საყვარელო მეგობარო?

შენ ხომ მხოლოთ შარშან დაასრულე გიმნაზია; შენ ხომ ჯერ არ მიგიღწევია დიად მიზნისთვის, რომ მიგეღო უმაღლესი სწავლა განათლება და მოგეხმარებინა იგი შენ მშობელ ქართ. ისრაელების დაბეჩავებულ ცხოვრების განსაკურნავათ!?

ახალგაზრდა გმირო! რად მოგვცილდი ასე უდროოთ შენ ტოლ-ამხანაგებს? ნუთუ არ იცოდი, რომ შენისთანა პატიოსანი, მუდამ ალერსიანი, ხალხის მოყვარული სწავლა განათლებით გატაცებული უაღრესათ საჭირო იყო?!

შენ ხომ იცოდი რომ დღეს ქართველ ისრაელები განცისკრების ხანას განვიცდიდით და რომ შენისთანები საჭირო იყვნენ როგორც მზის ნათელი სხივები გათენების ჟამს?!

დიახ! პატიოსანო ახალგაზდავ, შენ კარგათ იცოდი, მუდამ ემზადებოდა შენი თანამერჯულე ქართ. ისრაელების სამსახურისთვის, მაგრამ როდესაც საყვარელ სამშობლოს მოევლინა ხიფათი ვერაგ მტრისაგან, შენ როგორც ვაჟკაცმა, როგორც ერთგულ შვილმა, არჩიე თავი შეგეწირა საქართველოს არსებობისათვის.

ვსტირით ცხარე ცრემლებით შენ და-

კარგვას, მეგობარო, მაგრამ მასთანავე ვამაყობთ, რომ ქართ. ისრაელებში მოიპოვებიან ისეთები, რომ გასაჭირის დროს მზათ არიან შეეწირონ სამსხვერპლოზე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას.

შენ უჩვენე ხალხს ასეთი მაგალითი!

სამშობლო საქართველო არ დაივიწყებს პატიოსან და კეთილშობილ გმირის თავგანწირვას.

არ დაივიწყებენ შენ აგრეთვე შენი მუდამ მოსიყვარულე ამხანაგები, ვინაიდან უკვდავ ჰყავი სახელი რუბენ ელიგულაშვილისა.

ი. მოშიაშვილი

აზერბაიჯანი.

სულ ახლო მომავალში ბაქოს ცხენის „კონკის“ მოძრაობა განახლდება. „კონკის“ მოძრაობის საქმე თვითმართველობამ იჯარით გასცა ამხანაგობას, რომელმაც 30 ცხენი კიდეც შეიძინა. ელიან ცხენებს კასპის მხარიდან, ბილეთი 2—3 მანეთამდე ღირება.

ბაქოს პოლიცმეისტრის ბრძანება.

ბაქოს პოლიცმეისტარმა შემდეგი ბრძანება გამოსცა.

უბრძანებ ბ-ნ ბოქაულებს, რომ დაუყონებლივ. დაპატიმრონ მათი მშობლები, ვინც სამხედრო სამსახურს გაურბის. დაპატიმრებულნი არ განთავისუფლდებიან, სანამ მათი შვილები სამხედრო სამსახურში არ გამოცხადდებიან.

რკინის გზის დარაჯობა.

აზერბაიჯანის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ ბაქო-ხაჩასის რკინისგზის პირად მდებარე სოფლებმა რკინის გზაზე სადარაჯოდ კომლზე კაცი უნდა გამოიყვანოს.

მთიელ მოღვაწეთა ჩასვლა ბაქოში.

რადგანაც მოხალისეთა შემოტევით მთიელთა შორის დემოკრატიულად განწყობილ ხალხს დევნა დაუწყეს, ესენი იძულებულნი იყვნენ გამოქცეულიყვნენ. 31 მაისს ბაქოში ჩამოვიდნენ მთიელთა მოღვაწენი პარლამენტის თავმჯდომარე ყაფლანოვის მეთაურობით.

გ. უგლავას საპასუხოდ.

გაზეთ „სოც. დემოკრატში“ მე-3 ნომერში დაბეჭდილია უგლავას წერილი, რომელშიაც მოთავსებულია, ვითომ მას ინსინუაციის საშვალებით ფართო საზოგადოების თვალში ჩირქი მოგსცხე.

მიკვირს! რომელ ფართო საზოგადოებაზე ლაპარაკობთ ან ვინ გიცნობთ ბ-ნო უგლავა, რომ ამ ფართო საზოგადოებამ ესა თუ ის შეხედულება იქონიოს თქვენზე! გეკითხები ამიხსნათ რომელია ეს საზოგადოება? მე კი მგონია, რომ თქვენ გინდათ მკითხველი შეიყვანოთ შეცთომაში, და დაიკვეხოთ რა და, ვითომ დიდ საზოგადოებაში ხართ გართული და ცნობილი. და ყოველი წრე და საზოგადოება თქვენზე დაიწყებს მსჯელობას.

რასაკვირველია თქვენ ჩემთვის შეურაცხყოფა არ მოგიყენებიათ და არც ნებას მოგცემდათ ამისას. თქვენი აღზრდა განათლება და იმ საზოგადოების ხათრი და პატივისცემა, რომელშიაც თქვენ ტრიალობთ, მაგრამ მიუხედავათ იმისა, როცა მე თქვენ საბუთით და თხოვნით მოგმართეთ თქვენ მაინც ინებეთ ჩემი შეურაცხყოფა და „გარეთ გაეთრიეთ“ ძახილით და ჩემი საბუთის გადმოგდებით გამიმასპინძლდით, მასთან ისიც დაამატეთ; „ამისთანა საბუთებს პადვლებში იძლევიანო“. მერე რევოლვერი მოიღირეთ და სიკვდილითაც დამემუქრეთ. შეიძლებოდა კიდევაც მოგეკალით, რომ შვაში არ ჩამოგვდგომოდენ. გაიხსენეთ ბ. უგლავა ეს ყოველივე დამტკიცდა სასამართლოში თუ არა? თუ მეხსიერება არ გწყალობს და ვერ დაინახსოვრეთ ყველაფერი, ის რაც მოხდა საქმის გარჩევის დროს ნაწარმოების ასლს მაინც გამოიტანდი და დაიზეპირებდი. იქნებ არც ის გახსოვს, საქმის გასაჭიანურებლათ, რომ მოწმეები დაასახელეთ და მისი გადადება ითხოვეთ, მაშინ როცა ყველა მოწმეები იქვე დარბაზში აღმოჩდა, წინდაწინ, ალბათ თქვენგან მოყვანილი იქნება არც თქვენგან დანიშნული მოწმის ბ. ცქიტიშვილის ჩვენება გახსოვთ. აკი თქვა იმან, რომ ძალიან ახლოს ეიჯექით ერთი მეორესთან მე და უგლავა. უკანასკნელმა რევოლვერი ამოიღო და მიაღირა ბრიტანჩუკსო, მაგრამ რომ სიკვდილი ნდომოდა არ მივცემდი საშვალებასო. მერე ხომ ეს ჩვენება შეასწორა: „რომ სიკვდილი ნდომოდა ვინ დაუდგებოდა წინო“. ამეების შემდეგ განა შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენ ლანძღვა გინებას არა ხართ ნაჩვევი? არა ბატონო ამას ვერ იტყვით თქვენ ხომ თქვენ წერილს არა სიმართლეზე ამყარებთ. განა მეტი ლანძღვა გინება შეიძლება ადამიანის და ისიც უდანაშაულო მთხოვნელის? სად არის თქვენი ტაქტიკა, რომელსაც სხვას უწუნებთ. სიდანა სჩანს, რომ მე თქვენი შეურაცხყოფა მინდოდა ფიზიკურათ, რაში გამოვხატე ეს? ზომილოცავს, რომ გადარჩით თქვენ მიერ თავდაცვის მიღებით.

საქებარი და მოსაწონია თქვენი დევგმირობა! ამას ყოველი მომაკვდავი ვერ იზამს.

ამ თქვენ გადარჩენაზე ბევრი რამ იყო მართლა ნათქვამი სასამართლოში და არც არაფერი იყო. კიდევ მეხსიერება გლალატობს. აწი კი შეიძლება ბევრი ითქვას, მაგრამ არა ფართო წრეებში.

მართლა, რომ მოსამართლემ ყველაფერს, რაც იყო ახსნილი სასამართლოში, ჯეროვანი ყურადღება არ მიექცია, თორემ მეტი სასჯელის ღირსი იყავით. გარეგმოების სინამდვილეს კი ჩასწვდა მსაჯული.

ლაპარაკობთ რაღაც წერილობით საბუთებზე.

რას მოასწავებს ეს საბუთები ან თუ გგონიათ იმ საბუთებში გეწერებათ თქვენ ნებართვა ჩემი უდიერათ მოქცევის.

სასამართლოში ხომ ეს უკანასკნელი დამტკიცდა დამსწრე მოწმეებით.

ან იქნება ბათილობითი ხელწერილი გაქვთ ჩემგან მოცემული თქვენ უდანაშაულობაზე. სცდებით ბ-ნო, ასეთი საქმეები წერილობითი საბუთებით არ წყდება; აქ ცოცხალი საბუთებია საჭირო და ესენი უკვე იყო. რომელ ჩემ ბოროტმოქმედებაზე ლაპარაკობთ თქვენს წერილში?

იმაზე კი ამ საბუთის ძალით პასუხს ვაგებთ.

ნაცადია, ვინც მეტს ლაპარაკობს თავის პატიოსნებაზე. მით უფრო უპატიოსნოა.

რომელ ქურდობაზე და მექრთამეობაზე ლაპარაკობთ მე არ ვიცი. და თქვენ თუ იცით, საბუთებიც გექნებათ და როცა შავ სკამზე წამოგასკუპებ სასამართლოში მაშინ წარმოადგინეთ.

მართალია გამგეობა არსებობს და იარსებებს კიდევაც თავის სწორ და მიუდგომელ ხაზით, როცა მას ზურგს უმაგრებს ამრჩევლების 98 პროც. აქ ხომ ნამეტანი ნაადრევი გამოდგა თქვენი ბუკეთა და ნადარით ზეიმი, რათ დაასწარით რამოდენიმე დღით ეს ზეიმი პროცენტების გამოთვლით პირადათ თქვენ თავზე საზოგადო კრებას.

გაიხსენეთ 27 მაისის საზოგადო კრება, რა იქნა თქვენგნით მათემათიკურათ გამოთვლილი 98 პროც. ამრჩევლებისა? გაიხსენეთ კარგათ, აკი ზევით მოგახსენეთ თქვენი ზეიმი ნაადრევი იყოთქო, რით შეიცვალა ის, იქნება კრების წინაშე ცრემლების ღვრით და ხლუქუნით? აი თქვენი 98 პროც. ხომ არ გაუშავებიხართ?

თქვენი არა ერთი საბუთი გამოგადგებათ სასამართლოს მეორე ინსტანციაში, საცა საქმე თქვენი საჩივრით გადვიდა და ვნახოთ როგორ გამოიყენებს ის ამ თქვენ საბუთებს ჩემი თავხედობის შესახებ, რასაც ლაღადგებდა შემთხვევა საქმის გარჩევის დროს, მაგრამ თქვენი თვალ საზრისით ხელოვნურათ მოწყობილმა გარემოებამ ბურუსში გახვია დროებით.

ჩვენი პროვოკაცია თქვენი ამხანაგების მიერ მორალურათ უკვე დაგმობილია და ის ვინც ხალხს ემსახურება მომავალშიც ხალხთან იქნება მე ამ ხალხს და ამხანაგობას თქვენ გარშემო ვერ ვხედავ.

რომელმა ამხანაგობამ დაგმო ჩვენი პროვოკაცია მორალურად?

რომელ ხალხთანა ხართ თქვენ? იმასთან, რომლისაც ისე გეშინიათ, როგორც ბუს სინათლის?

მართლა აკი დამავიწყდა ამხანაგობა თქვენი შესდგება ორი გმირისაგან: თქვენ და პიპი-ნაშვილი ანუ ფიფი-ნაშვილისაგან. სხვა სად არის?

თქვენ იმას ნიშნავთ მოწმეთ და ის თქვენ (იხილე წარმოება სასამართლოში)

ვისაც ჩვენი სიმართლე გნებავთ გაიგოთ მიბრძანდით სასამართლოში და გადაავლეთ თვალი 9 მაისს გარჩეულ საქმეს. დასასრულ თავის ქება კიტრათ ღირსო, ეს კიტრის სიეფეში იყო ნათქვამი. ბ. ფიფინაშვილს პასუხის ღირსათ არ ვთვლი რადგანაც ჩვენ საქმეს თქვენის დამატებით სასამართლო გაარჩევს.

მინდოდა რომ გამომეწვიეთ სამედიატორო სასამართლოში მაგრამ ამის მომგხოთრა რომ როგორც თქვენ ამხანაგს პიპინაშვილს სამედიატორო სასამართლოში გაყოლა არ შეუძლია, (იხილე გაზეთი სოც.-დემოკრატი № 4 პასუხი ჩიკვინიძეს) რადგანაც თქვენ თავისუფალი საბუთები გჭირდებათ (სასტიკი ბრძოლა ბოროტმოქმედებათა საწინააღმდეგოთ) მე ხელს არ შეგიშლიან და განაგძეთ თქვენი მუშაობა. ამის შემდეგ ყოველ გვარ კამათს და საპასუხო წერილებს მე თქვენთან ვსპობ.

თ. ბრიტანჩუკი.

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მუშათა და მოსამსახურეთა ცხოვრებიდან.

თითქმის ორი თვეა, ქალ. თვითმართველობის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოთხოვნილება მუშათა და მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების შესახებ. მას შემდეგ რამდენჯერმე იყო ვადა დანიშნული პასუხისთვის, მაგრამ ვერც ერთხელ კავშირმა, ვერც დადებითი და ვერც უარყოფითი პასუხი ვერ მიიღო. უკანასკნელად დაინიშნა ვადათ დამლევი მაისი. ამ დღისთვის ქალ. გამგეობას უეჭველად უნდა გაემზადებია თავისი აზრი მოთხოვნილების შესახებ. ყველა მოსამსახურენი ამ ვადის მოახლოვებას მოუთმენლად ელოდენ. სამ ივნისისთვის კავშირის გამგეობამ მოიწვია კავშირის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო ... წევრი. კრებამ ... მჯდომარეთ ... ურ წესრიგს წინ მიუძღოდა ჯამაგირების საკითხი, რის შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის გამგეობის წევრმა არ. ბარამიძემ. მან აღნიშნა, რომ ქალაქის გამგეობა კანონიერად სთვლის ჩვენს მოთხოვნილებას მხოლოდ უსახსრობის გამო პასუხაგვიანებსო. ქალაქის ხმოსანთა საბჭოს მდივანმა ი. ბახტაძემ, რომელიც შემთხვევით დაესწრო კრებას, სთქვა: როგორც ქალაქის საბჭოსი ისე გამგეობის ყველა ფრაქციები—სოციალისტური და არასოციალისტური — კანონიერად სთვლიან თქვენს მოთხოვნილებას, მხოლოდ საქმე სახსარზეა და ცდილობენ, რომ რაიმე წყარო გამონახონო.

დელეგატმა, რომელიც იყო შეგზავნილი დამლევ მაისს ქალ. გამგეობაში პასუხის მისაღებად განუცხადა კრებას, რომ როგორც ქალ. გამგეობაში გადმომცეს, ქალ. მოურავის ამხანაგის წასვლა ქალ. თფილისში დაკავშირებულია ჩვენს მოთხოვნილებასთანო.

ყველა ამის შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა ამ საკითხზე. დაბოლოს გამოიტანა შემდეგი დადგენილება: იღებს რა მხედველობაში, საზოგადო კრება, ქალ. გამგეობის განცხადებას, რომ მიღებულია ზომები მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ადგენს, მიცეს მას, გამგეობას, ვადა პასუხისათვის, უკანასკნელად, სამშაბათამდე, ე. ი. ივნისის 10-დე.

დასასრულ, კრებამ აირჩია გაფიცვის კომიტეტი, რომელსაც დაავალა მოაწყოს გაფიცვა, იმ შემთხვევაში, თუ ათ ივნისამდე მოთხოვნილებაზე არ იქნა ქ. გამგეობისაგან მიღებული დამაკმაყოფილებელი პასუხი.

ერთი მოსამსახურეთაგანი.

ღია წერილი.

გაზ. „საქართველოს.“

„საქართველოს“ მე 114 ნომერში მოთავსებული იყო ცნობა რომ „სისხლის სამართლის მილიციამ დაუპატიმრა ი. გოგოლაშვილი, რომელსაც 30.000 მანეთის სახაზინო ნივთების მოპარვა ბრალდებაო“.

რომ საზოგადოებას ხსენებული ი. გოგოლაშვილი მე არ ვეგონო, გთხოვთ ერთხელ კიდევ გაზეთის საშვალებით გამოაქვეყნოთ სახელი და მამის სახელი ხსენებული გოგოლაშვილისა.

პატივისცემით ისმაილ პავლეს ძე გოგოლაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

Спѣшите к автору Психо-Френологу!

Если вас гнетут тоска и мрачныя мысли, если ваши нервы напряжены докрайности и вы стаите на распутыи не заня куда идти и что предпринять, если дѣла ваши пошатнулис и вы переживаете матеріальныя затрудненіе, если семейный раздор, невѣрност близкаго человѣка, или же неоправдавшійся расчет на взаимност и брак несут вас сердечныя страданія идите К. Оккультисту опредѣляющему пути жизненной германіи, ведущіе к полнейщему счастью. Он вам укажет: гдѣ жит, чем занятся, что предпринят, как возстановит утраченныя силы, укрѣпит волю, опредѣлит дарованія наклонности, и как избавиться от пагубных привычек. Он Астролог, Хиромант, Френолог, Хиософ, Мантевуст, Психометр, Скартолог, Гипнотизер, Магнитизер и Менталист. Составляет всевозможные Пантакли по Пораценьку, Пифагору и Кристану. Производит телепатическое влiяніе на разстояніи. Кабинет открыт в 10—6 в. (Для ожидающих имѣется гостинная).

Адрес: Садовая ул. д. № 47. пар. ход. плата по соглашенію.

წრაფლმბეჭდავი „ძმობა“ ბუმკინის ქუჩა სახლი გოგიჩაიშვილის ქვეშეთში.